



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №1

ქ. ბათუმი

2018 წლის 18 იანვარი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|--|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე |
| ლაშა სირაბიძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| დიმიტრი ჭეიშვილი | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ომარ მახარაძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ნატალია ზოიძე | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე; |

ანზორ დევაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
ნატალია ძიმიგური	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
მირდატ ქამადაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	-საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	- საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	-საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	-საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	-საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	- საკრებულოს წევრი;

არ ესწრებოდნენ:

ირაკლი თოფურიძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	-საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი - ნ. დეკანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი - ა. ვანაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - ს. მიქელაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე - მ. რუხაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე - გ. ჯიბლაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი- ე. ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობის, საინვესტიციო და ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსი- ეთერ ლომაძე;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მ. მეტრეველი;
- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ს. თეზიძე სხდომის მონაწილეებს მიესალმა და საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „სახალხო არტისტის - ენვერ ხაბაძის ბიუსტის განთავსების მიზნით მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

/მომხს: ირაკლი პატარიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

2. „2018 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიების განხორციელების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

3. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერთების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ეთერ ლომაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობის, საინვესტიციო და ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსი/

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ნუკრი დეკანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი/

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ნუკრი დეკანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი/

6. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვისა და რეგულირების წესის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 03 მაისის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: ეგარსლან ლომაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი/

7. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

/მომხს: ეგარსლან ლომაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი/

8. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: ეგარსლან ლომაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი/

9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ეგარსლან ლომაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი/

10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების გადა-
ბელვის ან/და ჭრის შედეგად დარჩენილი საშემე მასალით სოციალურად დაუცველი
მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ
ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: სოფიო მიქელაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი/

11. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების
წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14
სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: მირიან მეტრეველი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის
მოადგილე, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი/

12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2
კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო
გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: ზურაბ ნაკაიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე/

13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის
პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და
საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი/

14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული
ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-
ტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №37 განკარგულების ძალადაკარგულად
გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი/

15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით
დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების
შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის
განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი/

16. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბათუმის
გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურში შრომითი
ხელშეკრულებით დასაქმებული მუშა და ტექნიკური სპეციალისტების შრომის
ანაზღაურების წესის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი/

17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: სულიკო შვენთიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი/

18. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №36 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: სულიკო შვენთიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი/

19. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: სულიკო შვენთიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი/

20. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №80 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

21. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2018 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ წამოაყენა წინადადება დღის წესრიგში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივის „მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერი პროგრამის მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამატების თაობაზე, რომლის მიზანია სიღატაკის დაძლევისათვის ბრძოლა. 2018 წლის პირველი იანვრიდან გამვირდა ელექტროენერჯის ტარიფი. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს მოსახლეობის მდგომარეობაზე ზრუნვა. ფრაქციის მიერ ინიცირებული წინადადება რეკომენდაციით მიმართული იქნას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის. საკრებულოს კომისიის სხდომაზე უარყოფითი დასკვნა გამოიტანეს იმ მოტივით, რომ კომისიას არ ჰქონდა გაცნობილი ინიციატივა, ბიუროს სხდომაზეც არ იქნა შეტანილი დღის წესრიგში. ამდენად, საკრებულოს წევრის, კანონით მინიჭებუ-

ლი უფლებამოსილების საფუძველზე მოითხოვა წარმოდგენილი ინიციატივის დღის წესრიგში შეტანა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა განხილული იქნა საკრებულოს კომისიის და ბიუროს სხდომებზე, შესაბამისად წარმოდგენილია უარყოფითი დასკვნა, რის გამოც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ფრაქციის ინიციატივის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ განუმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, აღნიშნული ინიციატივა არის არასწორდ წარმოდგენილი, იმდენად რამდენადაც დეპუტატის უფლებამოსილებათა ჩამონათვალში, თვითმმართველობის კოდექსის 45-ე მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, დეპუტატს უფლება აქვს ინიცირების წესით საკითხი დააყენოს მხოლოდ და მხოლოდ საკრებულოს სხდომაზე და საკრებულო ვალდებულია განიხილოს და იმსჯელოს. ასევე საკრებულოს წევრს ინიცირების წარმოდგენის უფლება აქვს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. წარმოდგენილი ინიცირება არის საბიუჯეტო საკითხი, შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვის, მასში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლება ეკუთვნის მხოლოდ აღმასრულებელ ორგნოს - მერს.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, საკრებულო იღებს დადგენილებას, განკარგულებას, მიმართვას. წარმოდგენილი საკითხით არ ითხოვენ ბიუჯეტში ცვლილების შეტანას. რეკომენდაციის სახით მიმართვაა მერისათვის, რომ ელექტროენერჯის გაძვირებასთან დაკავშირებით დახმარება გაეწიოს სოციალურად დაუცველ მოსახლეობას.

საკრებულოს წევრმა ნ. მიძიგურმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მიმართა: მეთოდები დაგიძველდათ, კოლეგებო.... შეახსენა 2011 წლის ბიუჯეტი. მათ იმის ჩვენება უნდათ, რომ თითქოს გული შესტკივათ მოსახლეობაზე. გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ 4 ადამიანი ხართ საკრებულოში.

ბათუმის საკრებულოს წევრები სიტყვიერად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების საგანი ელექტროენერჯის ვაუჩერი გახდა, რის გადაცემასაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

საკრებულოს უმრავლესობის აზრით, ეს საკითხი საკრებულოს განსახილველი არ არის, რადგან ბიუჯეტში ცვლილების/დამატებების შეტანა შეუძლებელია მერის თანხმობის გარეშე.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ მიმართა კოლეგებს, რომ კოლეგიალური ორგანო ითვალისწინებს ეთიკის ნორმებს, რომლის დაცვისაკენ მოუწოდა. მოსახლეობის საყურადღებოდ აღნიშნა, რომ ეს ადასტურებს, რამდენად დემაგოგიური და პოპული-სტური პარტიაა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ვინაიდან თუ ისინი მობილიზებული არიან მოსახლეობის საკეთილდღეოდ შემოიტანონ ინიციატივა, მაშინ კანონდაცვით უნდა იქნას შემოსული. ქალაქის მოსახლეობა აკეთებს სწორ შედარებებსა და შეფასებებს.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინიციატივა განხილული იქნა საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის სხდომაზე, ბიუჯეტში ეკონომიების ხარჯზე მოსახლეობას გაეწიოს დახმარება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილ დღის წესრიგში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივა „მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მატერიალური მხარდაჭერი პროგრამის მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამატება დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა - 22 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1(ა. დევამძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე, რ. ზოიძე,
რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)
წინააღმდეგი - 16

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა - 22 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1(ა. დევამძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 5 (მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე, რ. ზოიძე,
რ. თავართქილაძე)
არ მიიღო მონაწილეობა - 1(ა. მამულაძე)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს საკრებულოს რეგლამენტის საფუძველზე განცხადებების გასაკეთებლად. მიმართვებისა და განცხადებებისათვის თითოეულ საკრებულოს წევრს აქვს ერთხელ, 3 წუთიანი გამოსვლის უფლება.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ მოსახლეობის გულისტკივილი და პრეტენზიები გააცნო საკრებულოს წევრებს, კერძოდ თამარ მეფის გამზირზე რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე ავტომობილის შესვლა გააძვირეს და გახდა 2 ლარი, რის გამოც ავტომობილები ჩერდება სავალ ნაწილზე, იქმნება საცობები და მსხვერპლის საშიშროება. თხოვნით მიმართა საკრებულოს იგივე გადასახადის დაბრუნებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ნ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე იხარჯება 8 მილიონ 200 ათასი, სადაც კომუნალურ დახმარებაზეა 660 ათასი ლარი განკუთვნილი, მატერიალურ დახმარებაზე - მილიონ 300 ათასი ლარი, მუნიციპალური ტრანსპორტით მოგზაურობაზე - მილიონ 700 ათასი ლარი, მზრუნველობამოკლებულ მოვლა-პატრონობის შესახებ მოქალაქეებისთვის დახმარება 860 ათასი ლარი და ა. შ. ჯამში ჯანდაცვის და სოციალურ პროგრამებზე განკუთვნილია 13 მილიონამდე ლარი, რაც ძალიან სასიხარულოა და მნიშვნელოვანია თანაქალაქელებისთვის. წარმოდგენილი მონაცემები იზრდება 2021 წლისათვის.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ უპასუხა ნ. ძიძიგურს, თანხობრივი ზრდა არ ნიშნავს იმას, რომ გამოყოფილი თანხა მიდის მისამართთან. კონკრეტულ საკითხს რაც შეეხება ელექტროენერგია გაძვირდა, განსაკუთრებით საკითხი ეხება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას 0-100 ათას ჟულამდე, რის გამოც შემოსულია ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივა.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ მიმართა უმრავლესობას, რომ დღეს მგონი ყველაზე სამარცხვინო სხდომაა, შეიკრიბეთ იმისათვის, რომ ხელფასების გაზრდას აუწიოთ ხელი.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩვეულ ფორმაში გააგრძელა მუშაობა, კარგი იქნებოდა სამართლებრივი აქტის მომზადების პერიოდში პოლიტიკური ჩარჩოები არ გამოყენებულიყო, 1 თეთრიანი მატება სჭირდებოდათ დღევანდელი შოუს დასადგმელად. წარმოდგენილი ინიციატივა იყო პოლიტიკური ჟესტისათვის და ხალხის გულის მოგებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ გააკეთა განცხადება კოლეგების ნათქვამზე „ყოფილო დირექტორო“, ბედნიერია რომ 28 წელი რიგით პედაგოგად, სკოლის დირექტორად, აჭარის განათლების მინისტრის მოადგილედ მუშაობდა. ასწავლიდა არა მარტო მათემატიკას, არამედ სხვისი აზრის მოსმენას და პატივისცემას. აქედან გამომდინარე ყველა კოლეგები ხართ და დაიცავეთ საკრებულოს რეგლამენტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1. „სახალხო არტისტის - ენვერ ხაბაძის ბიუსტის განთავსების მიზნით მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

/მომხს: ირაკლი პატარიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სახალხო არტისტის ენვერ ხაბაძის ბიუსტის განთავსების თაობაზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ა(ა)იპ აჭარის ვეტერან ქორეოგრაფთა და მუსიკოსთა ლიგას შუამდგომლობა, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის განთავსების თაობაზე გადაწყვეტილებას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ღებულობს მუნიციპალიტეტის საკრებულო საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო შეთანხმებისათვის საჭიროა დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს ბიუსტის ესკიზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა შუალედური გადაწყვეტილების მიღება წინამდებარე განკარგულების სახით, რომლითაც მოხდება იმ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, რაც საჭიროა პროექტის საქართველოს კულტურის სამინისტროში წარდგენისათვის. პროექტი ასევე შეთანხმებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან.

ა ზ რ ი

გ ა მ თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ თვითონ წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის სიმღერის, ცეკვის ანსამბლში. ენვერ ხაბაძე გახლავთ ადამიანი, რომელიც

სამი კუთხური, აჭარის ცეკვის ავტორია, ლაზური, განდაგანა, ხორუმი. ენვერ ხაბაძეს ეკუთვნის საპატიო ადგილი. მერიაში არის არაერთი პროექტი დამსახურების მინიჭების შესახებ. ხელოვანს, შემოქმედ ადამიანს წლების განმავლობაში ერთადერთი რამ ახალისებს: ტაში სცენაზე და დამსახურებიდან, ღვაწლიდან გამომდინარე წოდების მინიჭება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1(ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2. „2018 წლისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიების განხორციელების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ქ. ბათუმში, ლადო ასათინის ქ. №27-ში მიმდებარე მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოების საკრებულოს მიერ მოწონება, რომლის ღირებულება 1,144,709 ლარს შეადგენს.

2018 წლის სექტემბერში ქ. ბათუმში ტარდება მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უცხო ქვეყნის 1000 მოჭადრაკე, 5000-მდე სხვა პირი, (ტრენერები, სტუმრები, ჟურნალისტები და სხვა). შესაბამისად, საჭიროა ქ. ბათუმში, ლადო ასათინის ქ. №27 მდებარე მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება, რომელიც მდებარეობს მშენებარე სპორტული კომპლექსის მიმდებარედ. პროექტით გათვალისწინებულია ასევე ავტოსადგომის მოწყობა, ჯამში 42 მანქანაზე.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა სპორტული პრექტების დაგეგმვის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აჭარის მთავრობა გეგმავს 40 მილიონი ლარის ინვესტირებას, ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულია ინტერესთა გამოხატვა პროექტირებაზე და მიმდინარე ეტაპზე დაგეგმილია ყინულის მოედნის კაპიტალური ნაგებობის მშენებლობა, ასევე საცურაო აუზის მშენებლობა ანუ ამ ტერიტორიაზე ერთიანი სპორტული კომპლექსი განთავსდება.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა აღნიშნულ ტერიტორიაზე სასტუმროს მშენებლობის დაგეგმვის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არ არის გათვლილწინებული სასტუმროს მშენებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ გამოაცხადა 10 წუთიანი შესვენება. სხდომა განახლდა 12²⁰ სთ.

შესვენების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1(ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 3 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, რ. ზოიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

3. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერთების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ეთერ ლომაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობის, საინვესტიციო და ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერების შეთანხმება ეკონომიკური ზრდისთვის (M4EG) უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებში, რათა ისინი გახდნენ ეკონომიკური განვითარებისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშემწყობნი მოცემულ რეგიონში და ასევე, შექმნან შესაძლებლობა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამონაწილეობის, საზოგადოების კეთილდღეობის მიღწევისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებისათვის. აღნიშნული ინიციატივის უახლოეს მიზანს წარმოადგენს შეთანხმების წევრი ადგილობრივი ხელისუფლებისა და მათი პარტნიორების (კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება) შესაძლებლობების გაფართოვება და განვითარება, რათა მიღწეულ იქნას შემდეგი: ადგილობრივი ხელისუფლებისა და მათი პარტნიორების მხარდაჭერა და წახალისება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შექმნისა და განხორციელების პროცესში, რომელიც გამოავლენს უმთავრეს ლოკალურ ეკონომიკურ მამოძრავებელ ძალას და დაეფუძნება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასა და მიდგომებს; ადგილობრივი ხელისუფლების ტექნიკური უნარების გაუმჯობესება და მათი შესაძლებლობების განვითარება, რათა განახორციელონ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, კარგი მმართველობისა და მყარი ფინანსური მართვის პრინციპების თანხვედრით; ადგილობრივი პარტნიორობისა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის შექმნის წახალისება, რაც დაეფუძნება საჯარო-კერძო სექტორების დიალოგის (PPD) პრინციპებს, რათა წახალისდეს ის ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობს ზრდას, განვითარებასა და დასაქმებას; ადგილობრივი განვითარების მთავარი აქტორების წახალისების მიზნით, „ნოუ-ჰაუსა“ და საუკეთესო გამოცდილების განვითარება და გავრცელება, ახალი მიდგომების ჩვენება სამუშაო ადგილას და განვითარებაზე ორიენტირებული ადგილობრივი პოლიტიკისა და საქმიანობის შენარჩუნება.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივაში ჩართვით ქალაქებს ექნებათ წვდომა მრავალფეროვან ექსკლუზიურ და დამხმარე სახის სერვისებზე, მაღალი დონის ექსპერტულ ცოდნაზე და ასევე, დამატებით ქვევით ჩამოთვლილ სხვადასხვა შესაძლებლობებზე.

ინიციატივაზე ხელის მოწერის შემდეგ ისინი ხდებიან მოწინავე პროფესიონალური საზოგადოებისა და ქსელის წევრები, რომელიც თითოეულ წევრს სთავაზობს მნიშვნელოვან სარგებელს ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით და რეპუტაციის გაუმჯობესების მხრივ: ექსპერტების მხარდაჭერა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის დასახვისა და განხორციელების პერიოდში; უფასო წვდომა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შესახებ რჩევებსა და საერთაშორისო საექსპერტო ცოდნაზე; დახმარება კონკრეტული პროექტების გამოვლენასა და განვითარებაში, მხარდაჭერა მათი განხორციელების და მიღწევების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პროცესში, რაც დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას ისახავს მიზნად; დახმარების გაწევა გრანტების მოძიებისა და პროექტის შეთავაზების მომზადების პროცესში; კავშირი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და პოტენციურ ინვესტორებთან: ისეთი ადგილობრივი პარტნიორების მოზიდაობა და ჩართვა პროცესში, როგორებიცაა ბიზნესის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსტიტუტები და არასამთავრობო ორგანიზაციები; წვდომა საერთაშორისო პარტნიორებსა და მსგავს მმართველ ორგანოებთან; ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ქვეყანათაშორისი თანამშრომლობის მხარდაჭერა EaP-ის მთელ რეგიონში; თანამშრომლების გაცვლის ინსტრუმენტები; ტრენინგები, სასწავლო ტურები და თემატური სემინარები მუნიციპალური ორგანოს

თანამშრომლებისა და ადგილობრივი პარტნიორებისათვის; წვდომა სასარგებლო ინფორმაციაზე და მისი გავრცელება; საკონტაქტო ფორუმისა და კლუბის „M4EG Club“ წევრობა; „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ინიციატივის სპეციალური ლოგოს გამოყენების უფლება ხელმძღვრერი მუნიციპალიტეტებისათვის შიდა და თუ გარე პოზიციონირების დროს. ევროკავშირი, M4EG-ის სამდივნოსა და სხვა პარტნიორების (როგორცაა მსოფლიო ბანკი) ხელშეწყობით, იღებს პასუხისმგებლობას და შესწევს უნარი გააფართოვოს და განავითაროს ადგილობრივი პარტნიორების შესაძლებლობები, რათა ხელი შეეწყოს ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ დასვა შეკითხვა ფინანსური ვალდებულებების და დაგეგმვის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ფინანსურ ვალდებულებას არ წარმოშობს, აღნიშნულ ინიციატივაზე მიერთება არის ერთადერთი ვალდებულება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენა და დამტკიცება, შემდგომ რა პროექტიც იქნება აღნიშნულ გეგმაში გათვალისწინებული იმის განხორციელება განაპირობებს გარკვეულ ფინანსურ ვალდებულებებსაც. პროექტები განხორციელდება, როგორც ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით, ასევე შესაძლებელია დონორ და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის დახმარებით. ქალაქის ბიუჯეტში გაჩნდა ახალი პრიორიტეტული მიმართულება, როგორცაა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მუნიციპალიტეტი გარკვეულწილად აცხადებს ამ ღონისძიებების განხორციელების საკუთარ თავზე აღების ვალდებულებას.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ პროექტი ხორციელდება 2008 წელს დამტკიცებული „მერები შეთანხმების ფარგლებში“. მიღებული იქნა ვალდებულება მშენებლობების დათბუნებასთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ინტეგრირებული ტრანსპორტი ქალაქ ბათუმში და აჭარის რეგიონში მდგრადი ენერჯის საფუძველზე შემოთავაზებული იქნა გაეროს მიერ, ასევე გორგილადის ქუჩაზე გარე განათების, სანათების დამონტაჟება, გრანტის ფარგლებში გადმოეცა იესეიდის ხელშე-

წყობით, თბური ტუმბო ლერმონტოვის ქუჩაზე, ქ. ბათუმის მერიის შენობაში, რომელიც ვიპიმ გადმოგვცა, KFW-ის მიერ განხორციელდა შენობების კვლევა, რომელიც გასულ წელს იქნა დასრულებული.

KFW-ის მიერ 300 000 ევროს გრანტის ფარგლებში შენობების დათბუნების კვლევა და ჩარჩო დოკუმენტი შემუშავდა, თუმცა მერიას არ აქვს უფლება გარკვეული სტანდარტის დაწესების, ამიტომ ენერგოეფექტურობის სტანდარტის შემოღებას მუნიციპალიტეტი უფლებამოსილებიდან გამომდინარე ვერ შეძლებს. ეს არის სარეკომენდაციო ხასითის დოკუმენტი, გარდა ამისა ეროვნულ დონეზე მიმდინარეობს შენობების პროექტთან დაკავშირებით კვლევის მომზადება, სადაც გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტების ვალდებულებები და მერია ელოდება ეროვნულ დონეზე დოკუმენტის მომზადებას, რომ თანხვედრაში მოხდეს სარეკომენდაციო პროექტი.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ დასვა შეკითხვა სარეკომენდაციო პროექტთან დაკავშირებით, იყო თუ არა აღნიშნული პროექტი სარეკომენდაციო? რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ეს არის ევროკავშირის წინაშე ვალდებულების აღება, ერთი წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტს ექნება ადგილობრივი ეროვნული განვითარების გეგმა, საკრებულო უფლებამოსილებას აძლევს მერს, რომ მიუერთდეს აღნიშნულ ინიციატივას.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ მიმართა მ. ქამადაძეს, რომ უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლიათ წარმოადგინონ ინიციატივა. წარმოდგენილი პროექტი არის უფლებამოსილების მინიჭების საკითხი მერისთვის, ხოლო ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემოტანილი ინიცირება იყო არასწორად წარმოდგენილი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 23 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 4 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, რ. ზოიძე,
ნ. დუმბაძე)

დაადგინეს:

**მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.**

მოისმინეს:

4. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ნუკრი დეკანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომის“ ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომის“ ლიკვიდაციის დაწყების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა. ამასთან ფუნქცია-მოვალეობები გადაეცემა ა(ა)იპ „ბათუმის სპორტულ ცენტრს“. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცემა თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომის“ ლიკვიდაცია და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

ახრი

გამოთქმეს:

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომის“ ლიკვიდაციის მოტივის, მიზეზის შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომის“ ლიკვიდაციის მოტივია ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრის“ ფუნქციურად გაძლიერება, რომელსაც შეუძლია ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომის“ ფუნქცია-მოვალეობების შესრულება.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა თუ რამ განაპირობა სპორტული კლუბებიდან კონკრეტულად ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომის“ ლიკვიდაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მერი ინტენსიურად მუშაობს რეორგანიზაციების საკითხებში იმ პროცესების აღწერისათვის, რაც მთლიანად მერიის სისტემაში ხდება, აგრეთვე დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფუნქციებისა და სამუშაო პროცესის აღწერისათვის უახლოეს პერიოდში გახდება ცნობილი მუნიციპალიტეტის მერის

ინიციატივები სპორტულ კლუბებთან და სხვა ორგანიზაციებთან დაკავშირებით. ეს არის ეტაპობრივი პროცესი, რომელიც ორი თვის განმავლობაში გახდება ცნობილი.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს სხდომებს უნდა ესწრებოდნენ პოლიტიკური თანამდებობის პირები პასუხების გასაცემად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერს აქვს ახალი სამოქმედო გეგმა, სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს მერიის სტრუქტურისა და მერიას დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფუნქციების მორგებას მოსახლეობისა და ქალაქის ინტერესებზე. აქედან გამომდინარე მოსახლეობის, ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე იგეგმება მერიის შიდა სტრუქტურებისა და მასზე დაქვემდებარებული ორგანიზაციების რეორგანიზაცია.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ 2013 წელს კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დაფუძნდა ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომი“, ი. ჩავლეიშვილის საკრებულოს თავმჯდომარეობის პერიოდში. მან დასვა შეკითხვა ა(ა)იპ-ის დაფუძნებისა და გაუქმების შესახებ, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეიქმნა ორგანიზაცია, რომელიც ასრულებდა თავის ფუნქციას, მაგრამ დადგა მომენტი, როცა ამ ორგანიზაციის არსებობა ან მისი ფუნქციის გადატანა სხვა ორგანიზაციაში მიზანშეწონილია, იმ გეგმებიდან და სტრატეგიიდან გამომდინარე, რაც ქალაქს, ახალ ხელისუფლებას გააჩნია.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მიუთითებს საკუთარი აქტივისტების დასაქმებას.

საკრებულოს წევრი ზ. ნაკაიძე მიესალმება წარმოდგენილ რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის საკითხს, 4 წლის განმავლობაში ა(ა)იპ „ბათუმის ავტოდრომს“ ბევრი მიღწევები აქვს, მაგრამ დადგა ლიკვიდაციის მომენტი.

საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ მუნიციპალიტეტი არის ის ორგანო, სადაც უფრო მეტად

მობილიზებული უნდა იყოს იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც ქალაქს და მოსახლეობას წაადგება. ნებისმიერი საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა და განხილვა არ აწყოებს ქალაქის გულშემატკივრებს. უმრავლესობას მიმართა, რომ ნებისმიერი საკითხის ირგვლივ გაიმართოს მხოლოდ არსებითი მსჯელობა, კითხვის არსებითად დასმა და პოლემიკისაგან თავის შეკავება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1(ლ. ანთაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

არ მიიღეს მონაწილეობა - 4 (მ. ქამადაძე, რ. ზოიძე,
ნ. დუმბაძე, ა. მამულაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ გამოაცხადა შესვენება 13⁰⁰საათზე.
სხდომა განახლდა 14⁰⁰ სთ.

შესვენების შემდეგ სხდომას არ ესწრებოდა- საკრებულოს წევრი - მ. ართმელაძე.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

5. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ნუკრი დეკანაძე - ქ. ბათუმის

მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“-ს ლიკვიდაციაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მიღების მიზანია ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“-ს ლიკვიდაციის დაწყების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა. ამასთან ფუნქცია-მოვალეობები გადაეცემა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცემა თანხმობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს ა(ა)იპ

„სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტო“-ს ლიკვიდაცია და ამ მიზნით განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვა ლიკვიდაციის საფუძველზე თანამშრომელთა დათხოვნის თაობაზე, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროცესები იწვევს გარკვეულწილად თანამშრომელთა გათავისუფლებას, მაგრამ პროფესიული, ტექნიკური საქმიანობით მომუშავე პერსონალს არ შეეხება, რომლებიც ხელს უწყობს ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამართულ ფუნქციონირებას, ბუნებრივია ადმინისტრაციული კუთხით დასაქმებული თანამშრომლების შემცირებას გამოიწვევს, იმიტომ რომ ორ ორგანიზაციაში ერთი და იმავე ფუნქციის მატარებელი შესაძლებელია ყოფილიყო რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომელი, თუმცა ეს კონკრეტული დეტალები, გათავისუფლებული თანამშრომელთა რაოდენობა ლიკვიდაციის პროცესში გაირკვევა. მერია უზრუნველყოფს ყველა იმ ღონისძიებების გატარებას, რაც საჭიროა პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების ახალი ორგანიზაციის დაქვემდებარებაში გადაყვანით.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა თუ როგორაა ავტოტრანსპორტისა და პარკირების სამსახურების შერწყმა სხვადასხვა ქალაქებში, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქს უკვე გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში გააჩნია კონკრეტული პროგრამა, რომელიც წარმოდგენილია მერიაში და მოიცავს თავის სტრატეგიებს და მიმართულებებს. სტრატეგიის განხორციელებას სჭირდება ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვაზე და განვითარებაზე პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა ჰქონდეს კონკრეტულ ორგანიზაციას და არა სხვადასხვა ორგანიზაციებს.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

არ მიიღეს მონაწილეობა - 4 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

6. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვისა და რეგულირების წესის დადგენის შესახებ“ თვითმ-მართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 03 მაისის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: ევარსლან ლომაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები. ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის დაგეგმვისა და რეგულირების წესის დადგენის შესახებ“, ამასთანავე დაგეგმილია „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვისა და რეგულირების წესის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 03 მაისის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის რეგულირების განმახორციელებელი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს“ლიკვიდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე მოქმედ კანონმდებლობასთან და შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიზანშეწონილია შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები თვითმმართველი ქალაქის ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 03 მაისის №23 დადგენილებაში, კერძოდ: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. საგზაო მოძრაობის დაგეგმვაზე საკრებულოს გადაწყვეტილება აღმასრულებლად გადაეცემა პარკირების ორგანიზების განმახორციელებელ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საგზაო მოძრაობის რეგულირებას ახორციელებს პარკირების ორგა-

ნიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა-1(მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 3(ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

7. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

/მომხს: ეგარსლან ლომაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები. ამასთანავე დაგეგმილია „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის დაგეგმვისა და რეგულირების წესის დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 8 თებერვლის №4 დადგენილებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საფასურის ამოღების განმახორციელებელი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს“ ლიკვიდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე მოქმედ კანონმდებლობასთან და შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიზანშეწონილია შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები თვითმმართველი ქალაქის ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 8 თებერვლის №4 დადგენილებაში, კერძოდ: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ამ დადგენილებით დადგენილი პარკირების საფასურის ამოღებას ახორციელებს პარკირების

ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი. პარკირების საფასური ირიცხება პარკირების ორგანიზების განმახორციელებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე და წარმოადგენს მის საკუთრებას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა-1(მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 3(ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

8. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: ეგარსლან ლომაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურა, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები და მუნიციპალური ქონების განკარგვის წესი. ამასთანავე დაგეგმილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოს“ ლიკვიდაცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედ კანონმდებლობასთან და შეცვლილ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიზანშეწონილია შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებები თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2010 წლის 15 ოქტომბრის №25 დადგენილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0
არ მიიღო მონაწილეობა - 4(ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე, მ.ქამადაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ევარსლან ლომაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2017 წლის 06 ნოემბრის წერილით მომართა შპს „თ და კ რესტორნები“-ს გენერლურმა დირექტორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ შპს ახდენს Mcdonald's-ის სწრაფი კვების საერთაშორისო ქსელის რესტორნების ოპერირებს საქართველოში. იგი გეგმავს ქ. ბათუმში, კ გამსახურდიას ქ. №8-10-ში მაკდონალდსის რიგით მეორე რესტორნის გახსნას, რაც განპიროვნებულია მათი პროდუქციის მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის და ტურისტების მხრიდან დიდი მოთხოვნით. ამასთან, რესტორნის ეფექტური და შეუფერხებელი ოპერირების მიზნით კომპანიისთვის მნიშვნელოვანია მიმდებარე ტერიტორიით სარგებლობის უფლების მოპოვება. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „თ და კ რესტორნები“ შემოდის თხოვნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით საზაფხულო, ევროპული სტანდარტების ტერასის მოსაწყობად ქ. ბათუმში, ერას მოედნის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილის -142,00 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის 20 წლის ვადით მათთვის იჯარის ფორმით სარგებლობაში განკარგვის შესახებ.

აღნიშნული, საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ნაწილი -142,00 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის 2017 წლის 13 დეკემბერს საკადასტრო კოდით დარეგისტრირდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის 2017 წლის 26 დეკემბრის დასკვნის თანახმად ქ. ბათუმში, ერას მოედნის მიმდებარედ არსებული, საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 142,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება შეადგენს 306294,00 (სამასექვსი ათას ორას ოთხმოცდაათოთხმეტი)ლარს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს Mcdonald's-ის სწრაფი კვების საერთაშორისო ქსელის გაფართოებასა და შეუფერხებელი ოპერირების საკითხში შპს „თ და კ რესტორნები“-სადმი ხელშეწყობას, შესაბამისად, ქ. ბათუმში, ერას მოედნის მიმდებარედ 142,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 20 წლის ვადით შპს „თ და კ რესტორნები“-სადმი იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემას. მიწის ნაკვეთის წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 15500,00 (თხუთმეტი ათას ხუთასი)ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 4 (ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე, მ.ჭამადაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

10. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების გადაბეღვის ან/და ჭრის შედეგად დარჩენილი საშეშე მასალით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: სოფიო მიქელაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების გადაბეღვის ან/და ჭრის შედეგად დარჩენილი საშეშე მასალით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უზრუნველყოფისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განკარგულების მიღების მიზეზია ბიუროკრატიული მექანიზმის შემცირების მიზნით განკარგულების გაუქმება და განკარგულებით შექმნილი კომისიის ფუნქციების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურისათვის გადაცემა, რითაც შესაძლებელი გახდება მცირე დროში გადაწყვეტილების მიღება. თვის განმავლობაში შემოსული განცხადებების შესწავლის საფუძველზე მოხდება იმ განმცხადებელთა შორის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს მიღმა და დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში შედარებით ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18

წინააღმდეგი - 0

დასადაგინეს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მოხსენეს :

11. დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: მირიან მეტრეველი - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მოვალეობის შემსრულებელი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილების მიღების მიზეზია სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე დადგენილებით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების წესის ახლებური ფორმით ჩამოყალიბება. არსებული რეგულაციით, დადგენილების საფუძველზე კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის განსაზღვრული სპეციალური შეთანხმების კ2 კოეფიციენტის მნიშვნელობის გაზრდის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის (საბჭოს) წარდგინების საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ახალი წესის შესაბამისად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის წერილობითი დასკვნის საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას, კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის განსაზღვრული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების კ2 კოეფიციენტის მნიშვნელობის გაზრდის თაობაზე.

აზრი

გამოთქვეს :

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარებისა და იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიების სხდომებზე განხილულ იქნა წარმოდგენილი საკითხი, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით შესთავაზა კოლეგებს წარმოდგენილ პროექტში ცვლილების შეტანა, კერძოდ კ2 კოეფიციენტის 60%-ზე მეტი გაზრდის შემთხვევაში ბათუმის საკრებულოს მიერ უნდა იქნეს გადაწყვეტილება მიღებული. თითოეულმა მაჟორიტარმა სა-

კრებულოს წევრმა უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საკითხში.

საკრებულოს წევრის რ. თავართქილაძის განმარტებით, არ უნდა გაუქმდეს ზონალური კომისია, პირიქით კომისიის შემადგენლობა კომპეტენტური ადამიანებით და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებით უნდა დაკომპლექტდნენ. მან წამოაყენა წინადადება საკითხის გადადებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი სენსიტიური თემაა, კოლეგებს მოუწოდა, საკრებულოს ჩართულობა კ2 კოეფიციენტის გაზრდის გადაწყვეტილების მიღებაში.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ აღნიშნა, რომ ზონალურ საბჭოს ერთ-ერთ წევრს წარმოადგენდა, ასევე იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ კომპეტენტური კონკრეტულ საკითხში. ახალი წესის შესაბამისად მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის წერილობითი დასკვნის საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი მიიღებს გადაწყვეტილებას, კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის განსაზღვრული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების კ2 კოეფიციენტის მნიშვნელობის გაზრდის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს მერის კომპეტენციის ნაწილს და მერის თანხმობის გარეშე ფრაქციის წინადადება მიუღებელია.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხს მხარი არ დაუჭირონ და მერს მიმართონ ფრაქციის რეკომენდაციის საფუძველზე წარმოადგინოს სამართლებრივი აქტი.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წამოყენებული წინადადება ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ სპეციალური ზონალური შეთანხმების თაობაზე, კ2 კოეფიციენტის 60%-ზე მეტით გაზრდის შემთხვევაში ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი გადაწყვეტილებას მიიღებს საკრებულოს რეკომენდაციის შემდეგ, დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 6 (ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე,
მ.ქამადაძე, რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)
წინააღმდეგი - 16

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 6(ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე,
მ.ქამადაძე, რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

12. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M₂ კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ტარიფის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: ზურაბ ნაკაიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით რეგულირებადი ეკონომიკის სფეროდ განისაზღვრა M₂ კატეგორიის ავტობუსით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა 2017 წლის 1 აპრილიდან 2020 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, რის გამოც მომსახურების აღნიშნული სფერო დაექვემდებარა სატარიფო რეგულირებას.

გამომდინარე იქედან, რომ გასულ წელს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ფასი ბაზარზე სტაბილურად მოქმედებდა. მიმდინარე წელს ბათუმის მუნიციპალიტეტს მომართა სატრანსპორტო კომპანიებმა, რომლებმაც წარმოადგინეს ტარიფის გაანგარიშება და მოითხოვეს მისი გაზრდა 0,1 ლარის ოდენობით.

აღნიშნული საკითხი შესწავლილი იქნა საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის მიერ, შესწავლის პროცესში ჩართული იყვნენ სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლები. საკითხის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ სატრანსპორტო კომპანიების მოთხოვნა საფუძვლიანია და ობიექტურია მათ მიერ წარმოდგენილი ტარიფის კალკულაციები. შესაბამისად კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ტარიფის განსაზღვრა 0,5 ლარის ოდენობით, რომელიც საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე უნდა განისაზღვროს საკრებულოს ნორმატიული აქტით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა რ. თავართილაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ პროექტს მხარს არ დაუჭერს, რადგან 10 თეთრით გაძვირება მნიშვნელოვნად აისახება მოსახლეობისათვის.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, მძღოლების პრეტენზიებთან, საწვავის გაძვირებასთან დაკავშირებით, რომ 10 თეთრით გაზრდა არაფერია, მაგრამ საღამოს საათებში კონტროლს ვინ ახორციელებს, როცა მოსახლეობა რამდენიმე საათს ელოდება სამარშრუტო ტაქსს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სატრანსპორტო კომპანიების მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა იყოს ახალი ტარიფის ადეკვატური და ამ მიმართულებით ქალაქ ბათუმის მერიამ უნდა განახორციელოს სათანადო რეფორმები და ღონისძიებები. სამარშრუტო ტაქსებში ხარისხის გასაუმჯობესებლად კონტროლი უნდა გამკაცრდეს.

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ კომპანიების პრეტენზიები გასაგებია გაძვირებული საწვავის პირობებში, მაგრამ ცვლილებას მხარს დაუჭერდა იმ შემთხვევაში თუ მოყვებოდა სუბსიდირება, ისე როგორც მუნიციპალურ ტრანსპორტს.

საკრებულოს წევრის მ. ქამადაძის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტი ბათუმის საკრებულოს მხარდაჭერას არ იმსახურებს, რადგან ბათუმელებისათვის უპატივცემულობის გამოხატვაა.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 6(ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე, მ.ქამადაძე, რ. თავართილაძე, ა. მამულაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

13. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიღების მიზეზია „შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედება, რომლის საფუძველზეც დადგენილების პროექტით განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა.

დადგენილების პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება დადგენილების დანართის მიხედვით.

დადგენილებით უქმდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №24 დადგენილება. ვინაიდან, პარალელურ რეჟიმში უქმდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №37 განკარგულება, დადგენილების პროექტით დანართის შესაბამისად უცვლელი სახით მტკიცდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხა.

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე, დადგენილების პროექტის მიხედვით იზრდება მერიის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოს ფონდი, მაგრამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯამური შრომის ანაზღაურების ფონდი უცვლელი დარჩება დანამატის ფონდის შემცირების ხარჯზე. დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოს ზრდას, მაგრამ მათი ჯამური შრომის ანაზღაურება უცვლელი დარჩება დანამატების გაუქმების ხარჯზე.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრი ო. მახარაძე მიესალმება რომ პოლიტიკური თანამდებობის პირები ვერ აიღებენ პრემიას, დანამატს ან ჯილდოს.

საკრებულოს წევრი ნ. დუმბაძემ დასვა შეკითხვა ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღებში ხელფასების მომატებასთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროცესი გაგრძელდება მერიის მიერ დაფუძნებულ აიპებში და იურიდიულ პირებში, დაგეგმილია სახელფასო პირობების მოწესრიგება, მათ შორის საბავშვო ბაღებში.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ დღეს მნიშვნელოვნად იზრდება ხელფასები, ბათუმის მერის თანამდებობრივი სარგო 2750 ლარის ნაცვლად 4500 ლარი იქნება, ვიცე-მერი 3600 ლარს აიღებს, მერის მოადგილე – 3400 ლარს და ა.შ

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მანიპულირებს, ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით, როცა 2012 წელს მერი იღებდა 4832 ლარს, დღესდღეობით თანხა შემცირებულია 400 ლარით. შრომის ანაზღაურებები გარკვეულწილად იმ ფაზაზე მიდის, რომ აკლდება გასულ წლებთან შედარებით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 6 (ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე, მ. ქამადაძე, რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

14. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №37 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ამოქმედებიდან გამომდინარე შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცება, შესაბამისად უნდა გაუქმდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის და მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №37 განკარგულება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 6 (ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე,
მ.ქამადაძე, რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

15. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით:

3. საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მიხედვით:

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებებში – შესაბამის ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოსთან შეთანხმებით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2018 წლამდე შეადგენდა 83 ერთეულს. მიმდინარე ეტაპისათვის გათვალისწინებულია 78 ერთეული (5 ერთეულით ნაკლები), რაც აღემატება შტატით დასაქმებულ რაოდენობის 5 %-ს. შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ უნდა მოხდეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმება და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება გათვალისწინებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. შესაბამისად, პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი ხარჯების გაწევას ბიუჯეტიდან.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 22 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 5 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, რ. ზოიძე, ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს :

16. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მუშა და ტექნიკური სპეციალისტების შრომის ანაზღაურების წესის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: არჩილ ვანაძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით: 7. ამ კანონით განსაზღვრულისაგან განსხვავებული წესი შესაძლებელია დადგინდეს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული იმ პირებისთვის, რომელთა შრომის ანაზღაურების გაანგარიშება დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს მოცულობასთან/დირექტორებსა (ნამუშევარი საათების, მომსახურების საფასურის წილის ან/და სხვა მაჩვენებლის მიხედვით). ამ პირთა შრომის ანაზღაურების წესი დგინდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ცენტრალურ, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირებისათვის – შესაბამის ადმინისტრაციულ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ხოლო მუნიციპალიტეტების (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) საჯარო დაწესებულებებში დასაქმებული პირებისათვის – შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, სათანადო საჯარო დაწესებულების ზემდგომი უწყების (ასეთი უწყების არსებობის შემთხვევაში) ან თავად საჯარო დაწესებულების (მისი ზემდგომი უწყების არარსებობის შემთხვევაში) წარდგინებით.. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მუშა და ტექნიკური სპეციალისტების შრომის ანაზღაურება 2018 წლამდე განისაზღვრებოდა ნამუშევარი დღეების (ყოველდღიური სარგოს) მიხედვით და არა ყოველთვიური სარგოთი.

შესაბამისად 2018 წლის 1 იანვრიდან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ უნდა მოხდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული მუშა და ტექნიკური სპეციალისტების შრომის ანაზღაურების წესის შეთანხმება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი
 არ ესწრებოდა 1(ა. მამულაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

არ მიიღო მონაწილეობა - 5 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, რ. ზოიძე,
 ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

17. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

/მომხს: სულიკო შვენთიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მიღების მიზეზია „შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედება, რომლის საფუძველზეც დადგენილების პროექტით განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა.

დადგენილების პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება დადგენილების დანართის მიხედვით. კერძოდ:

	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარი)		
		პროექტი	არსებული	სხვაობა
პოლიტიკური თანამდებობის პირები				
1	საკრებულოს თავმჯდომარე	4500	2750	1750

2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	3400	2350	1050
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2900	2000	900
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2900	2000	900
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	2000	-	-
პროფესიული საჯარო მოხელეები				
6	პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსი	2900	1650	1250
7	მეორადი სტრუქტურული ერთეულის (განყოფილება) უფროსი	2000	1150	850
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1400	900	500
9	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1300	800	500

ვინაიდან, პარალელურ რეჟიმში უქმდება „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის 36 განკარგულება, დადგენილების პროექტის დანართის შესაბამისად უცვლელი სახით მტკიცდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების სამტატო ნუსხა.

დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის სამემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე, დადგენილების პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოს ფონდი, მაგრამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯამური შრომის ანაზღაურების ფონდი უცვლელი დარჩება დანამატის ფონდის შემცირების ხარჯზე.

დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოს ზრდას, მაგრამ მათი ჯამური შრომის ანაზღაურება უცვლელი დარჩება დანამატების გაუქმების ხარჯზე.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ წამოაყენა წინადადება პროექტში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, კერძოდ საკრებულოს 17-მა თანამდებობის პირმა, ვისაც მაღალი ხელფასები აქვს, 300 ლარით მოხდეს ხელფასების კლება და თანხის გადანაწილება მეორე და მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტებზე.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ საკრე-

ბულოს წევრებს შორის გაიმართა პოლემიკა.
საკრებულოს წევრმა ნ. ზოიძემ აღნიშნა,
რომ ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრა-
ობას“ უნდა მანიპულირება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ მ. ქამადაძის მიერ წამოყენებული წინადადება,
კერძოდ თანამდებობის პირებზე თანამდებობრივი სარგოს 300 ლარით კლება და
მეორე და მესამე კატეგორიის უფროს სპეციალისტებზე მატება დააყენა კენჭი-
სყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა 1(რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ა. მამულაძე,
ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე)
წინააღმდეგი -16

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა 1(რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 5 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ა. მამულაძე,
ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

**18. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს და საკრებულოს აპარატის საშტატო
ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28
ივნისის №36 განკარგულების ძალადაკარგულად
გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპა-
ლიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

/მომხს: სულიკო შვენთიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო
მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“
დადგენილების ამოქმედებიდან გამომდინარე შესაბამისი ღონისძიებების
განხორციელება. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური
თანამდებობის პირების, პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი
სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტით

გათვალისწინებულია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების სამტატო ნუსხის დამტკიცება, შესაბამისად უნდა გაუქმდეს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს სტრუქტურული ერთეულების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის №36 განკარგულება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 20 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა 2(რ. ზოიძე, მ. ქამადაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 1 (ლ. ანთაძე)
არ მიიღო მონაწილეობა 1(ნ. დუმბაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

19. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: სულიკო შვენთიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მიხედვით:

3. საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი სამტატო რიცხოვნობის 5%-ს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული

რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მიხედვით:

1. საჯარო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო დაწესებულებებში დაიშვება საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა) შემთხვევაში – მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საჯარო დაწესებულებებში – შესაბამის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსთან შეთანხმებით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2018 წლამდე შეადგენდა 18 ერთეულს. მიმდინარე ეტაპისათვის გათვალისწინებულია 16 ერთეული (2 ერთეულით ნაკლები), რაც აღემატება შტატით დასაქმებულ რაოდენობის 5 %-ს. შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების შეუფერხებლად გაგრძელების მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ უნდა მოხდეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმება და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება გათვალისწინებულია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით. შესაბამისად, პროექტის მიღება არ იწვევს დამატებითი ხარჯების გაწევას ბიუჯეტიდან.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა-1(რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 5 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ა. მამულაძე,
ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

20. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №80 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №80 განკარგულებაში მიზანშეწონილია ცვლილების შეტანა, კერძოდ ამოღებულ უნდა იქნას მ და ნ ქვეპუნქტები, საბჭოს შემადგენლობიდან ორი წევრის ამოღება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა-1(რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 5 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ა. მამულაძე,
ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

21. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2018 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

/მომხს: ნატალია ზოიძე - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად წარმოდგენილია დასამტკიცებლად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2018 წლის სამოქმედო გეგმა.

დანართი თან ერთვის.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა 21 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა-1(რ. ზოიძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 5 (მ. ქამადაძე, ლ. ანთაძე, ა. მამულაძე,
ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის
უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს
აპარატის იურიდიული
განყოფილების
უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს
აპარატის საქმისწარმო-
ების განყოფილების
უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების
განყოფილების უფროსი
სპეციალისტი